საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახვისწყალი

ბახვისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სუფსის მარცხ. შენაკადი (ერთვის სოფ. ნაგომართან). სიგრძე 42 კმ. აუზის ფართ. 156 კმ². სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, 2585 მ სიმაღლეზე. ჩამოუდის კურორტ ბახმაროს. ერთვის 90-ზე მეტი პატარა შენაკადი. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე (უდიდესი დონე და ხარჯი მაისში), წყალმცირეა ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში (უმცირესი დონე და ხარჯი აგვ-ში). საშ. წლ. ხარჯი 6,18 მ³/წმ.

ი. აფხაზავა